

1950



207 50
19/11
გამომცემი
თბილისის საბჭოთაო
კულტურის პალატა

ქართული
საბჭოთაო

ნახ. დ. კაკაბაძისა და თ. ქიქიაშვილისა


სალაქი გაეანთ მთაგზვლედას!

ჭიხვმა თქვა: მთაში ვაქვაცის თვალსაც კი ვემაღებოდი, ჩვენს მალად სამფლობელოში როცა ფეხმარდად შემოდი, უმბას და მხადღეს არწივიც კლანჭით ვერ მოუკიდებდა.—

და თქვენ კი ზღაპრად აქციეთ მიუვად მთათა დიდება! თუ მონადირე ჭიხვის კვალს ეძებდა უნინ.—პირიქით,— დღეს ჩვენ ავდივართ კლდეებზე თქვენს მიერ გაჭრილ ბილიკით...

ნ ი ა ნ ბ ი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР



ზაუბანის ღმერთი

მამო ჩვენი, რომელიც ხარ ცაო მინა!
კამოქცხადე, — ო, შენ მინც რამ დაგაშინა...
უსმინე ლოცვას, ყოვლის შემძლე, და ნუღარ იცდი —
მოხნე მშვიდობის უველს მომხრე და კომუნისტი!
მამო ჩვენი, რომელიც ხარ ცაო მინა,
ხომ ხედავ ხეი სხსოება წრემლად დაშლიდა,
ხეი იესო, ხეი რწმენა, ხეი იქედი
ჯვარსე ვამიკურეს, დამაქუნსრეს დარდით მძიძეთი...
მამო ჩვენი, რომელიც ხარ ცაო მინა
ჯვარცმელსე ფიქრმა არ დაშტოვა, არ დამაშინა...


გოგოთურ მიგრაულ

„მთამსვლელი“ იანკი

როგორც ირახული გაზეთები
გადმოგვეცემენ—ამერიკიდან თეი-
რანში ჩავიდა ვინმე დუგლასი...
იგი გატაცებულია ალბინიზმით,
მოივლის ირანს, აზერბაიჯანს,
ქურთისტანს და კაშკაის მთებს.

როგორც „მთამსვლელი“ გულადი
ირანს ესტუმრა იანკი...
არა! მთამსვლელი კი არა,
ვინც არის,—იცნობს ნიანგი,—

„ნოეს კიდობანს“ დაეძებს
ისევ ახმახი მკვეხარა,
ჯაშუშის თვადით აპირებს
დაზვეროს სხვისი ქვეყანა.



ნახ. ღონისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არაქა, ექიმო....



მშვიდი ღღე გათენდა 16 აგვისტოს.

მყუდროება სუფევდა ვარდისუბნის ქუჩა № 30 სახლის
ეზოში. ქუჩიდან კანტი-კუნტად მემაწვნის შეძახილი თუ გაი-
სმოდა, თორემ შიგნით შეხედვას ვინ გაბედავდა? მათ იცო-
დნენ: ეზოში ავი ძაღლია ჩასაფრებული და შიგნით შესვლა
შარვლის ცალ ტოტად მაინც დაუჯდებოდათ!

მაგრამ აი, კიშკარი აკრიალდა და ეზოში კაცი შევიდა.
ეს გამბედავი კაცი პოლიკლინიკიდან გამოძახებული
ექიმი გახლდათ. მას ხელში ავადმყოფების მისამართები ექი-
რა. პირველ ავადმყოფს ამ ეზოში ეწვია. შევიდა, გასინჯა,
მორჩენა მიულოცა და ბიულეტენის დახურვას შეუდგა.

— როგორ! ბიულეტენი უნდა დამიხუროთ?—გაიკვირ-
ვა მოქალაქემ.— მე ისე სუსტად ვგრძნობ თავს, რომ ამ კვი-
რაშიაც ვერ წავალ სამსახურში!

— არა უშავს, ეს გრაბის შედეგია. თქვენ სიცხე არა
გაქვთ, სისუსტე წოდის ბრალია, გაივლით ჰაერზე და ყვე-
ლაფერი გაქრება! თქვენ გგონიათ ადვილია ბიულეტენის
გაცემა, ან გაგრძელება, ისიც უსაბუთოდ? ნულარ მალაპა-
რაკებთ! სხვაგანაც მელოდება ავადმყოფი!

ექიმმა ქალაქები სასწრაფოდ აკრიფა, ქუდს ხელი და-
ავლო და ეზოში გამოვიდა. აქ შეჩერდა, გამოძახებების მი-
სამართებს გაუახედა და წასასვლელად მოემზადა, მაგრამ,
ფეხის გადადგმაც ვერ მოასწრო,—რაღაც სწვდა კანქში.
ექიმმა სიმწრისაგან ფეხი გაიქნია, შემოტრიალდა და ეზოს

ნაგაზის გაბრაზებული თვალები რომ დაინახა, სწრაფად დას-
წვდა ქვას. მაგრამ ნაგაზს პირში უკვე შარვლის ტოტის ნა-
ხევი ეჭირა და ექიმს ხელმეორედ უტევდა. ვინ იცის, სანამ-
დის გაგრძელდებოდა ეს ბრძოლა, რომ მცხოვრებლებს არ
გაეშველებინათ.

გამწარებული ექიმი ფერდაკარგული იდგა და ყვიროდა:

— რას ჰგავს ეს? ავიშვიათ ნაგაზები და წუპაკი ძალ-
ლები, გიჩივლებთ, ავიკრძალავთ!

ვიღაც ქალი მოვარდა. თვალების ბრიალზე ეტყობოდა—
ძაღლის პატრონი უნდა ყოფილიყო.

— ბოდიში მოითხოვეთ, ბატონო ჩემო, არც ასე გასა-
ლანძლია ჩვენი ძაღლი, ეს ჯერ კიდევ პატარაა და გავეთა-
მაშაო!

— როგორ? კარგია შენმა მზემ! პატარა „გათამაშებით“
რომ ცალი ფეხი მომაკამა, დიდი რომ ყოფილიყო და გაუ-
თამაშებლად მცემოდა, ალბათ, ეხლა ჩემი პორტფელ-საბუ-
თებიანად უკვე გადაყლაპული ვიქნებოდი.

— ავღებულად ნუ იხსენიებთ, ეგ უბრალო ძაღლი არ
გახლავთ, მაგის მამას ერთი სიგელი და ორი მედალი ჰქონ-
და ჯილდოდ მიღებული, იცით თუ არა?

— ქალო, რა შუაშია მედალი! რა შუაშია ჯილდო! რათ
ავიშვიათ ძაღლი მის ნებაზე! ვაი ჩემო ფეხო! ვაი, ჩემო
შარვალო!—შუბლზე ხელის შემოკვერით მოსთქვამდა ექიმი.

— ჩემმა ქმარმა ამ ძაღლში სამასი მანეთი მისცა,
თქვენი თეთრი შარვალი კი რაღაც რვა თუმანი ღირს, მე-
ტი ხომ არა, რა მოხდა მერე?—არ ცხრებოდა ქალი.

— თქვენთან სალაპარაკოდ არა მცალიან... არიქა, ექი-
მი!.. გავიქცე, ნემსი გამიკეთონ! მე თვითონ გამიხადეთ სა-
ბიულეტენოდ საქმე? ვნახოთ რა მოჰყვება ამას!—და ექიმი
ეზოდან ბურთივით გამოუარდა.

ქუჩებში გამვლელი მოქალაქენი ხედავდნენ, როგორ
გარბოდა ქვაფენილზე ვიღაც კაცი, პორტფელით ხელში,
უქუდოდ, ცალი ფეხი მუხლამდე შიშველი ჰქონდა და კანქ-
ზე სისხლი სდიოდა. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ეს
იყო რაიონის ექიმი, იგი საშველად სხვა ექიმთან გარბოდა
პოლიკლინიკაში.

ვარდისუბნის ქუჩაზე, № 30 სახლის ეზოში კი ისევ
ჩვეული მყუდროება სუფევდა, ალბათ, იმ იმედით, რომ ასეთი
ეზოები თბილისში მრავლად მოიპოვება.

ონაზატი

ნახ. ა. კანდელიასი



— გამხრველი, ჯონ, ახალი იარაღი მივიღეთ, ხედავ?

— ვიჰმე, ძმაო, ეს არის ჩვენი უხედავება, რამდენიმე საათის შემდეგ სწორედ ამ იარაღით ჩვენვე ჩავგვლიწონ ცხვირ-პირს კორეელებში...

ჩვენი ზეპ

როცა მეითვლეს ასეთ ამბავს მოეთხრობ, იგი უღაბებში ჩაიციუნებს და წითურბლებს — აღმოჩინა ამერიკაო! — მაგრამ იმაში დარწმუნებული, რომ ამგვარად კოლუმბზე უფრო კეთილშობილ საქმეს ვაკეთებ, მინდა მანც ისეთი ამბავი მოგიყვებო, რომელიც თქვენც ხშირად ვიპაახებო.

სხვა რაშეს თუ არა, იმას მანც მიაქცევდით უწადლებას, რომ თქვენი სწრაფი, მოსკოვის ქუჩა ორ რაისაბუქზე ნაწილდება თავისი ტერიტორიით: ერთი მხარე ბერის რაიონს ეკუთვნის, მეორე — ორჯონიძის რაიონს, ერთ მხარეს თავისი მემორებლები ჰყავს, მეორეს — თავისი.

ეს მსხვილები ერთი-მეორისაგან მხოლოდ რაიონიანი კეთილმოწყობით განსხვავდებიან და რაშიც განსხვავებას მხედდენ, ლაპარაკის საგანდაც ხშირად იმას ხიან.

ვთქვით, ქუჩის მარჯვენა მხარეს, ორჯონიძის რაიონში დარგულ ხეების ტოტებში გახლართული ტელეფონის მავთულები, აჟა ამ ხეზე ტელეფონის სამამართლოს მუშაკი და ულმობელი ხელით ჩინჩხრად აქცევს მავთულებში გახლართულ აქამდე ცოცხალ რტულებს აცაიციბისას.

— მოხერხებ მანც, ასე დამტყვევით ხე გეხება — დამლიდან შემოვალდბს რომელიმე მარჯვენამხრელი.

უღობილი მეტელეფონე გაწმარტებს, რომ ხერხის შოვნას მთელი ისტორია უნდა, იცვც რომ არ იყოს, ხის მოჭრა ისევეა კანონით, რაც შეეხება შემთხვევით მოტყუას, ეს ქარსაც კი შეუძლიან და თავის დახრდევა სხვათა შორის, ტელეფონის მუშაკებში იციან.

მარცხენამხრელები მხოლოდ ნაწილობრივ იციან ასეთი შემთხვევის გამო და გულშიც ნაწილობრივ უხარიათ, რომ მარცხენამხრელები არიან, მაგრამ ეს შეუიღბანია. თქვენ მარჯვენამხრელებს სიხარული მაშინ უნდა გეხებათ, როცა მათ წილ ქუჩის ორ-

საკოდაი ჩეა, რა დღეშია ჩოღოთ, თუნდ ასოალი გქონდოთ, მანც გულწოდებო.

პროსპექტებშია, კრიალებია, რც სარკე მის ხეივნებს კოდა მზე ცალკე ზარე ცალკე! მაგრამ ერთ კანალტრესტი შევსია წერავე გათხარა და გათხარა, ამოხერვა რეგები!

ის რომ მოსს, ასულტოთ დააკრა უშეიღოდა, — ახლა წყალსა ტრესტი დამეგერა ვასოდა, გამობრამეს, სეგნეს და მიღები ჩრუეს, ზედ — ვით ტა მწიბული, ცვლავ ასულდასახეს.

მით მოლოში არ ქეონდათ ვატხილი კოვლო, რომ მის თავიშას შეუღდა — ტელეფონს სამამართლო!

ხვალ იქ ენახებოგერადტრესტს*, ზედ — ათულსტეს — ვინ იბოშო? — ვაშ, თუ მისხარა — დათხარა მარტრესტადელწონის გამოღურტრესტენს, გააკალეს სასე ჯანი. — ელორა ცქნაოქია თუ აფარშიანი* — სეჯანი!

რაისაბუქოვ, აქის პროსპექტს რა დღე აღგაქამ იცოდებ, ასი გულიც რიგეგანდეს, ასევე რეულიცოდებ!

უარსადანი

ჯონიძის რაიონ კომუნალური განყოფილებაში, წერაკვები და ჩაქუბები აანამეუ და ქვაფენილის შეკეთება დაიწყო. დიდიად სასოვნო არ არის აზრებად ქვეულო რის დანახვა, ქუების ყოვე და მიყრამოყრილი ფლაქანი,



ნახ. ვ. უსარაბიასი



— ის მოიცავილებია რომ შეუშვი ქალაქში, იანვე გეტს ჩვენს რას ჩავიდნდით. — კანამით, სხაურით, ცაცხმკველებით დამრწის თხოლისი ქუჩებში...

სიხარისის ნინი

ნახ. ღონისა



მინა

— დღეს უკვე სკოლაში უნდა მივაბარო, ჩემო შეილო, ახალ წიგნებს ვიყიდო, ახალ კიბას და, აი, იმ გოგონას ხომ ხედავ — მოსწავლეა, — უნც იხილ სახეს მიიღებ. — რათა, დედიკო, რა დევაშავე!...



ლაყვარდი ცა, მოლივე-ლივე ჰაერი, ოქროდ დაღვრილი მზის სხივები...

ასე მინდოდა დამეწყობ ბუნების ამ შესანიშნავი ფერადების აღწერა, როცა თბილისიდან ქართლისაკენ მიმავალი მატარებლის ფანჯრიდან გადავიხედე. აქ მხატვრისთვისაც უხვი ფერადებია, პოეტისთვისაც — შთამაგონებელი სახეები.

მაგრამ ჩემი სურვილია — ახლა მომღერალი ვიყო, რომ ქებათაქება შევასხა ამ ბაღების ზურმუხტ ჩარჩოში ჩამჯდარ ოქროსფერ მინდვრებს.

დოლიპური სამკალად შემოსულა, თავთუხების ზღვა დღეა და არ იცი რა გაკავებს, რომ არ შემოიმღერო:

„...ნამგლებს ხელი წამოვავლოთ, გადავიქცეთ მთლად სიმღერად...“

მაგრამ ნამგლით რას დააკლებ ამ ოქროს ზღვას, როცა აგერ, ის თეთრი გემბებით შეცურებული კომბაინებიც კი ძლივს უმკლავდებიან?

ერთის სიტყვით, ალტაცებამ სიმღერის გუნებაზე დამყენა. თან ოცნებაში ფიქრობ, რომ სწორედ ასეთ ამინდებში, ასე აფერადებულ ბუნებაში, უფრო მეტის ეშხით უნდა გალობდნენ ბუღბუღები. გარშემო მათი კრიმანტული უნდა რაკრავებდეს, გულს ადნობდეს. გუნებაში ჩუმ ცეცხლს გიკიდებდეს.

და, აი, ჩემი ოცნება უმაღლესი თითქოს სინამდვილედ იქცაო:

მატარებლებში კრიმანტული გაისმა. რალაც ზრინწიანი სტვენა, დაბევილი „ტია-ტია“ მოედო იქაურობას. ეტყობოდა, ბუღბუღები პირდაპირ ვაგონებში შემოფერნილიყვნენ. ყველა კუთხიდან მოისმოდა უცნაური კრიალი. ახირებული „ზინიკიკო“ თავისი დაფი-დუფით.

— რა არის ეს? ბუღბუღებია? — ეკითხები გვერდზე მჯდომ მოქალაქეს. რომელსაც ეშხიანად ყელი მოუღერებია და დნება, იფიფლებს, იწვის.

— მაიცი. ტო! რის ბუღბუღები. რა ბუღბუღები? არ გესმის? გამოვფხიზლდი. მართლაც რის ბუღბუღები, რა ბუღბუღები? ვაგონში

მეკიანურე-მეგარმონე-მეზურნის „ანსამბლი“ ტუზულა. ისინი აუცილებლად დანჯღრეულ ინსტრუმენტებს და თვითონაც დანჯღრეულად ხლუქუნებენ:

მოლი-პულ-გზა-ა-ზე,
ბაშ-ფორთი ვნა-ა-ზე,
და იმ ბაშ-ფორთით
მე შენ მოგ ნა-ხ-ე-ე!..

— აფერუმ, აფერუმ!.. სალოლო. — გაისმის აქეთიქიდან. გადადის მანეთიანები. „ანსამბლი“ ახლა მეორე ვაგონში გადის, ხოლო რომ არ გაწყდეს ჩვენთვის „კულტურული მომსახურების“ ძაფი, ჩვენს ვაგონში მეაკორდეონე და მისი დამქაშები შემოდინან.

კვიპინებს აკორდეონი და, კისერწაგრძელებული, ღვინისაგან ცხვირაწითლებული დამქაში „მღერობს“:

„ახჩი, ახჩი, ხაჩინ ხაფე-ლე-ეეს!“
ნესტიანი დაირის ყრუ „დაფი-დუფზე“ გულისამრევად წრიპინებს არაო.



ამ მომხიბლავ „არისაც“ თავისი წამქებებლები გამოუჩნდნენ.

დამქაშის მიერ ჩამოტარებული ქუდი მანეთებით იცხება. „ბუღბუღები ეშხში შედიან“ და ახლა სხვა სიმღერას იმეორებენ, კიდევ სხვას... და გრძელდება ფულგარული კაკოფონია:

„დილით ხაში, ზედ ლავაში,
თანაც არაყი ვესროლოთ!..
სალამოდინ ვიქეიფოთ,
ლოთის გეგმა შავსარულრთ...“

დამახინჯებული რუსულით, დანგრეული ჩიქორთულით ჩაგუყვიან და თქვენ ვერ გარკვეულხართ — რა ენა ესმის მომღერალს, რა გემოვნებას, რა კულტურას ავრცელებენ ეს „ბუღბუღები“ მატარებლებში?

მატარებელი კი მიჭკრის. შუა ქართლში ვართ, ვაგონებში იცვლებიან შემსრულებლები, იცვლება რეპერტუარი.

აი, შიგ ყურში ჩაგვივის ვილაც გაღეშილი მედაირე. რალაც დაბევილი ხმით, „ესთეტიკურად გატკობს“:

„ჩვენ ეზოში წვი-მა-მო-ოდის, თქვენ ეზოში და-რია-ლო, მე და შენი და-შო-ტე-ბა, მშვენიერო, სათი-ნიკას ბრალ-ი-ა-ო-ო...“

და რომ უფრო „განათლებულად“ გაგაგები-ნოთ, ის ახლა დამახინჯებულ რუსულზე გადა-დის, შემდეგ თათრულად მოსთვლის და ამ „სამსახურისათვის“ ქუსს გიშვერთ, „გაქეკილი“ ენით, ჰათოსიანი სიტყვით მოგმართავთ.

მაგრამ განა მართა ამით თავდება საქმე? ჩვენს რკინიგზას თავისი „შტატიანი ბუღბუღებიცა“ ჰყავს: ეს გახლავთ მატარებლებში რადიო-კონცერტების, სიმღერების გადაცემა.

ვთქვათ, თქვენ მოსკოვიდან მგზავრობთ თბილისისაკენ, მთელს გზაზე, ვიდრე სოხუმს მოუ-ახლოვდებით, მართლაც რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერების საინტერესო კონცერტებს, კლასიკურ სიმღერებს გადმოსცემენ.

მაგრამ აი, შემოხვედით საქართველოში და თან რატომღაც შემოგყვით „არშინ მალ-ალა-ნი“-დან დაწყებული და „ორიოლ სტეპნოით“ დამთავრებული ვინეგრეტი, ძველი, შუაბაზრული ღრიანცელი, შემოგყვით ბეიბუთოვის მიერ ყარა-ბალულ კილოზე აწივლებული „ნავალიტანური“ რომანსები, ბაიათები. მერე ისინი ამ ხაზის „ბუღბუღებმა“ შესცვალეს და კვიპინითა და ღრიანცელით შემოგაცილეს თბილისამდე.

საღლა თქვენი პოეტური აღმაფრენა, საღლა თქვენი ოცნება, თქვენი ნატვრა ბუღბუღების კრიმანტულის შესახებ?

ალარსად. ის ამ, ნამთვრალეგმა, ხმაჩანლე-ჩილმა რკინიგზის „ბუღბუღებმა“ გაგიცამტვე-რეს, სამუდამოდ წაგიხდინეს სიმღერის ხალისი.

რატომ, რაო ჩემო? განა ჩვენ კი არა გვაქვს ფირფიტებზე ჩაწერილი კარგი ხალხური სიმღერები, კლასიკური მუსიკა? საუკეთესო მომღერლების მიერ შესრულებული არიები და რომანსები? განა ჩვენს ხაზებზე კი აწყენს მგზავრებს მათი მოსმენა?



მანვილაკი



ქალაქელი შოუბი-ქალაქბაიით

— ხსხსს! შემოიხეხა, მანქანა მაშინვე დაგამუხრუქე და კარი გაგადე, მეგონა ხუთთუმნაანს მოვიგდებ ხელში მეთქი და, აი, თურმე ვინ შემომსისინა!..

სოფალ ბაზალთს აბანო აქვს...

ჩვენს სოფელში შესანიშნავი აბანო ააშენეს, მაგრამ ამოდ,—შიგ კაცი ვერ შევა, იგი ბოსტნეულის საწყობად არის გადაქცეული.



— ამოდ გარჯილხართ ამხანაგებო, ყველა ნომერი უკვე ჩვენს მიერ დაკავებულია!

კვლავ კომისია ვინ მომისია?

დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში ზაფხულობით ერთმანეთს სცვლიან სარევიზიო კომისიები, რომელთა უმრავლესობა ფაქტიურად უფასოდ ისვენებს



კომისია—კომისიას სცვლის და სუფრა განახლდება. მას კიდევ სხვა კომისია უცდის, ბრაზით გულზე სკდება.

იმ სხვის—კვლავ სხვა ელოდება. ფაქტი ასე ლაპარაკობს: —ვის ულუფას ვინა სწეწავს. ვინ ვის ხარჯზე „აგარაკობს“?



— რას ერჩი კაცო, ამ ყვავებს. სასიკვდილოდ რომ იმეტებ?!
— როგორ თუ რას ვერჩი! ესენი არ იყვნენ, შარშან „ნიანგში“ რომ გამომეჩემეს — კოლექტივის თავმჯდომარემ პური უფანაკლისოდ ვერ აიღო, ჩვენ აგვაკენქინაო?! წელს, წელს მაინც რას დამტრიალებენ თავზე, ხომ ნახეს მარცვალის არ დაფუტოვე...

— რას ერჩი კაცო, ამ ყვავებს. სასიკვდილოდ რომ იმეტებ?!
— როგორ თუ რას ვერჩი! ესენი არ იყვნენ, შარშან „ნიანგში“ რომ გამომეჩემეს — კოლექტივის თავმჯდომარემ პური უფანაკლისოდ ვერ აიღო, ჩვენ აგვაკენქინაო?! წელს, წელს მაინც რას დამტრიალებენ თავზე, ხომ ნახეს მარცვალის არ დაფუტოვე...

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი (რედაქტორის მოადგილე), -ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირა-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 7/IX. სტამბა „ზარია ვოსტოკა“. შუკ. № 2092 რუსთაველის პროსპ. № 42. გამოც. № 90. ტირ. 11.000. უფ. 483

პირველ გვერდზე—ლეკის მესამე სტრიქონში გაპარა კორექტორული შეცდომა—დაბეჭდილია შხალდე—უნდა იყოს შხელდა.



„... სხვებთან ერთად იგიც უმაღლეს მოხიბვლა ზღვამ, გულმა ველარ მოუთმინა და ერთ-ერთ გაჩერებაზე ჩვენ...“ ამონაწერი კერძო ხარატიდან.

